მაღლა ფრენისკენ მოწოდებულნი



მამა გაბრიელე ბრაგანტინი

„ღვთის ყველა შვილს აქვს ფრთები“... და, ანგელოზთა მსგავსად, მოწოდებულნი ვართ დიდებული ფრენისკენ უსასრულობაში, ისევე, როგორც მთის არწივი უპირისპირდება უკიდეგანო ცას.

მაღლა ფრენისკენ მოწოდებულნი, ახლაც, როდესაც განვლილი თვეების საგონებელმა ზედმეტად მყარად დაგვადგმევინა ფეხი მიწაზე, ‘სახლში დაგვტოვა’? როგორც ეს მრავალგზის და მრავალი ადამიანისაგან გვესმოდა ამ დღეებში. ალბათ დადგა დრო, გამოვიდეთ სახლიდან, მაღლა ვიფრინოთ, გაბედულად და თამამად, ‘წარსულის დავიწყებით’. ამერიკის შავკანიანთა საკრებულოს ერთ-ერთი გალობა ამ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას, რომლისთვისაც ვართ მოხმობილნი, შემდეგი სიტყვებით წარმოსახავს: ,,მე მაქვს ფრთები, შენ გაქვს ფრთები, ღვთის ყველა შვილს აქვს ფრთები; როდესაც ზეცად წავალ, გავშლი ფრთებს და შემოვიფრენ ღვთის ზეცას კიდით კიდემდე...“. „ღვთის ყველა შვილს აქვს ფრთები“... და, ანგელოზთა მსგავსად, მოწოდებულნი ვართ დიდებული ფრენისკენ უსასრულობაში, ისევე, როგორც მთის არწივი უპირისპირდება უკიდეგანო ცას. მთის არწივი სძლევს ქარსა და სიმაღლის დინებას და მაღლა და მაღლა მიიწევს; მთის არწივს შესწევს უნარი, ზემოდან აკვირდებოდეს და ყველაფერს ნათლად და მკაფიოდ ხედავდეს თავისი მახვილი მზერით; მთის არწივი ბუდეს ციცაბო კლდეებში იკეთებს: უსაფრთხო და დაცული სხვა მტაცებლებისაგან. არწივი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც შეუძლია მზეს უყუროს და მისკენ გაემართოს დაბრმავების გარეშე: ამას გვახსენებს ერთ-ერთ თავის იგავში ლეონარდო და ვინჩი და, ასევე, იოანე გამოცხადების წიგნში... გამოცხადების წიგნში ვკითხულობთ, რომ **ქალს, რომელსაც ურჩხულის რისხვა დაატყდა თავს, მიეცა ვეება არწივის ორი ფრთა, რათა გარიდებოდა ურჩხულს და გაფრენილიყო უდაბნოში, სადაც უნდა ერჩინა თავი** (შდრ. გამოცხ. 12,13). არწივი უშიშრად უსწორებს თვალს მზეს და შენც შეგიძლია უცქირო

მარადიულ ნათელს, თუკი შენი გული სუფთაა (Angelus Silesius, 1624-1677). მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ ფრენას; შეიძლება არწივებს ვგავდეთ და გვქონდეს ფრთები... ტყვიისა, და ფეხები ტყვიისა. დაღლილნი ვართ იმ შიშითა და დაუცველობით, რომელსაც განვიცდიდით და კვლავაც განვიცდით: რა გველის უახლოეს მომავალში? სამსახური, ტურიზმი, ვაქცინა, პენსია... იქნება კი? შეასრულებენ თავიანთ სიტყვას ისინი, რომლებიც მოხმობილნი არიან იღვაწონ ყველას კეთილდღეობისათვის? საუბრები, რომელიც მოვისმინეთ და დღესაც ვისმენთ, ხშირად გაურკვეველია, საკამათო, უსარგებლო, ზოგჯერ უაზრო, არარეალური...; იმ კონტრ-მაგალითების გამო, რაც ვნახეთ და რასაც ვუყურებთ. და ჩვენი გული სულ უფრო და უფრო იკუმშება და პატარავდება. აღარ არის საჭირო, რომ გვითხრან: 'დარჩით სახლში'; ჩვენ თავადაც ვრჩებით; იმედგაცრუება, სასოწარკვეთილება, ინტერესის დაკარგვა: ესაა ამ დღეების ვირუსი, რომელსაც უფრო მეტი მსხვერპლი ჰყავს, ვიდრე საავადმყოფოებს; დამძიმებული გული აღარ გვაძლევს შესაძლებლობას ლაღად ვინავარდოთ; სად? საითკენ... სიწმინდისკენ. დიახ, სიწმინდისკენ. მართლაც მშვენიერი და საოცარია ხელახლა აღმოჩენა და განცდა იმისა, რომ თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე მოხმობილი და მოწოდებულია სიწმინდისაკენ. ალბათ ჩვენ ეს გადაგვავიწყდა; განვლილი თვეების დარდმა და წუხილმაც შეუწყო ალბათ ამას ხელი; საბაბი იმისა, რომ არ ვისაუბროთ სიწმინდეზე, უამრავია და ზოგჯერ მაცდუნებელიც, თუმცა სწორედ ეს შეიძლება იქცეს ბიძგად, სიწმინდისაკენ მიმავალ ბილიკად; ეს იყო ვატიკანის მეორე საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და წინასწარმეტყველური ინტუიცია დოგმატურ კონსტიტუციაში Lumen gentium (1964 წ. 21 ნოემბერი), როდესაც საუბარი ეხება სიწმინდისაკენ საყოველთაო მოწოდებას, საბედნიეროდ, ამის შესახსენებლად არსებობენ ჩვენი მწყემსებიც, ჩვენი ეპისკოპოსიდან რომის პაპამდე. ,,სიწმინდე ეკლესიის ულამაზესი სახეა, - წერს პაპი ფრანცისკე უბრალო სიტყვების ცოცხალი ძალით, - ეს არის ღმერთთან ზიარებაში საკუთარი თავის აღმოჩენა, მისი სიცოცხლისა და მისი სიყვარულის სისრულეში. და, ამგვარად, გასაგები ხდება, რომ სიწმინდე არ არის მხოლოდ რამდენიმე რჩეულის პრეროგატივა: სიწმინდე არის მადლი, რომელიც ყველას ებოძა, გამონაკლისების გარეშე, და ამიტომ ყოველი ქრისტიანის ამოსაცნობ თვისებას წარმოადგენს" (გენერალური აუდიენცია ოთხშაბათობით, 19 ნოემბერი, 2014). გავიხსენოთ ასევე ემერიტუსი პაპის, ბენედიქტე XVI-ის სიტყვები: ,,ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ წმიდანების უფრო ახლოს შეცნობა და იმის გაგება, რომ ამ მამაკაცებმა და ქალებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ეკლესიის მთელ ისტორიაში, რომლებიც თავიანთი რწმენით, თავიანთი სიყვარულით, თავიანთი სიცოცხლით მრავალი თაობისათვის მანათობელ შუქურას წარმოადგენდნენ და კვლავაც გვინათებენ გზას. წმიდანებმა ნება დართეს ქრისტეს, იმდენად სრულად შეეღწია მათ არსებაში, რომ შეეძლოთ წმიდა პავლეს მსგავსად ეთქვათ: ,,მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში" (გალ. 2, 20) (გენერალური აუდიენცია ოთხშაბათობით, 6 აპრილი, 2011). დიახ, ქრისტიანული ცხოვრების სიწმინდე, სილამაზე და სიხარული ქრისტესთან ერთობაში, მასთან და მის მსგავსად ცხოვრებაში, მისი შეხედულებების, აზრების, ქმედებების საკუთრად ქცევაში მდგომარეობს. ყველა ქრისტიანის მოხმობა სიწმინდისაკენ გადის სიყვარულის, ყოველდღიურობის, ლოცვის უბრალო და თავმდაბალ გზაზე, ყოველდღიურ სინამდვილესა და ხალხთან კავშირში. ისინი, რომლებიც სუფთა და უბრალო, მაგრამ ერთგული გულით ცხოვრობენ, გრძნობენ, რომ მათი ცხოვრება ფართოვდება, მსუბუქდება და ჩნდება სურვილი ამაღლებისა, საიდანაც ყოველივე სულ სხვაგვარად ჩანს. ნეტარი ავგუსტინე წერდა: ,,ცოცხალი იქნება ჩემი სიცოცხლე მთლიანად შენით სავსე, უფალო!" (აღსარებანი, 10, 28).

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ორი გლობალური კრიზისი გადავიტანეთ. 2001 წლის 11 სექტემბერი - ტერორიზმის და რელიგიათა შორის ურთიერთობების საკითხთან დაკავშირებული. ეს დღესაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების დღის წესრიგშია და შიში პოლიტიკური სისტემების მთავარ თემად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შემდეგ - 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი. 12 წლის მერე კვლავ ვიმკით მის შედეგებს: კომერციული ბრძოლა ჩინეთსა და აშშ-ს შორის, მიგრაციებით გამოწვეული დაძაბულობა, იმ რესურსების შეუსაბამობა, რომლებიც გაგვაჩნია პრობლემების გადასაჭრელად. კრიზისს უსათუოდ მოჰყვება საშუალო და გრძელვადიანი შედეგები. ბევრი რამ შეიცვლება. კონფლიქტები და დრამატული კრიზისები დემოკრატიულ ქვეყნებში რეალური შესაძლებლობებია, როგორც ეს მოხდა 2001 და 2008 წლის შემდეგ. მაგრამ არ არსებობს არავითარი დეტერმინიზმი. საკითხავი ისაა, შეძლებენ თუ არა ადამიანები იმ სირთულეების გადალახვას, რაც წარმოიქმნება ამ საგანგებო სიტუაციაში.

თარგმნა
რუსულიდან ავალიშვილმა

4 თვის განმავლობაში ნიგერიაში ექვსასზე მეტი ქრისტიანია მოკლული

სამოქალაქო თავისუფლებათა და უზენაესი სამართლის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, 2020 წლის აპრილის ჩათვლით, ნიგერიაში ექვსას ოცი ქრისტიანია მოკლული. ხშირია ქრისტიანთა გატაცება გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით. თავდასხმები ფულანისა და ბოკო ჰარამის შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ხორციელდება. აბუჯას მთავარეპისკოპოსმა იგნატიუს კაიგამამ მოუწოდა ქვეყნის პრეზიდენტს მუჰამადუ ბუჰარის მიიღოს ქმედითი ზომები ქრისტიანთა დევნის აღსაკვეთად. „ხელისუფლებასთან - პრეზიდენტთან, ვიცეპრეზიდენტთან, დაკავშირების შესაძლებლობა უნდა გვქონდეს. ერთად უნდა ვიღვაწოთ, რათა დავძლიოთ სიღატაკე და მკვლელობები“, - აღნიშნა თავის მიმართვაში იერარქმა.

9 ივნისს ბიკო ჰარამის დაჯგუფება თავს დაესხა ბორნოს ოლქის ქრისტიანულ სოფელს ფადუმა კოლომდის. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ოთხმოცზე მეტი ქრისტიანი, მათ შორის, რამდენიმე ბავშვი.

https://www.catholicnewsagency.com/news/more-than-600-nigerian-christians-killed-in-2020-new-report-says-65880

3, 5 მილიონი კერძი ვენესუელელი ლტოლვილებისთვის

ჩრდილოეთ სანტადერის (კოლუმბია) ოლქის მუნიციპალური ცენტრი, ქალაქი კუკუტა ვენესუელას ესაზღვრება. ბოლო წლების განმავლობაში ვენესუელაში ჰიპერინფლაცია, საკვები პროდუქტების, მედიკამენტებისა და პირველი საჭიროების სხვა საგნების ნაკლებობა აღინიშნება. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის გამო მრავალი ოჯახი ტოვებს თავის სამკვიდროს და თავშესაფარს მეზობელ კოლუმბიაში ეძებს. კუკუტას ეპარქიის ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი ათასობით ლტოლვილს უწევს დახმარებას. საზღვრის სიახლოვეს უკვე სამი წელია მოქმედებს დროებითი თავშესაფარი, სადაც ამ ხნის განმავლობაში სამნახევარი მილიონი ლტოლვილი დააპურეს. გარდა ამისა, ეპარქიის სხვადასხვა ნაწილში გახსნილია რვა სასადილო. თუმცა, ეს მხოლოდ კვების ობიექტები როდია: საჭიროებისამებრ, ადამიანებს აქ პირველადი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაც შეუძლიათ. 13 მარტს COVID-19-ის გამო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ახალი რეგულაციების გამო თავშესაფარი და სასადილოები დაიხურა, თუმცა ჰუმანიტარული დახმარების ცენტრის მოხალისეები მაინც ახერხებენ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანთა დახმარებას.

https://www.catholicnewsagency.com/news/catholic-ministry-in-colombia-marks-three-years-of-feeding-migrants-19642

საპროტესტო ტალღა აშშ-ში. ლოცვა განკურნებისთვის

12 ივნისის დილას, როდესაც აშშ-ს ათასობით მოქალაქე საპროტესტო აქციებისთვის ემზადებოდა, ვაშინგტონის არქიეპარქიის სამღვდელოება, ბერები, მონაზვნები და საეროები სამართლიანობისა და განკურნებისთვის ლოცულობდნენ. „უსამართლობის წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედოთ და სამართლიანობისთვის უნდა ვილოცოთ. იარების განკურნებისთვის ჩვენს ქვეყანას ღმერთი და სიყვარული სჭირდება. ჩემთვის, როგორც აფროამერიკელისთვის, მძიმეა დისკრიმინაციის ისტორიაში დაბრუნება. რისხვაც მიპყრობს, დარდიც და შიშიც, რომ ყველაფერი დაბ-

რუნდება“, - აღნიშნა ლოცვის ერთ-ერთმა მონაწილემ, აფროამერიკელმა ლუის ბრაუნმა.

სააგენტო CNA-ს ცნობით, საპროტესტო აქციებს აშშ-ს სხვადასხვა ქალაქში მრავალი კათოლიკე შეუერთდა. „საქმე ისაა, რომ ამ ადამიანებს ჩემი თანადგომა სჭირდებათ. მეც მათ გვერდით ვდგავარ“, - განაცხადა ნებრასკელმა კათოლიკემ, ჯენ ო’ნილმა.

https://www.catholicnewsagency.com/news/catholics-say-they-marched-and-prayed-for-justice-and-healing-after-george-floyd-killing-93206



ამონარიდი კათოლიკე მღვდელმთავრის განცხადებიდან

შვიდი სპეციალური კომიტეტის მეთაურმა მღვდელმთავარმა ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებასა და ეროვნულ პროტესტებთან დაკავშირებით განაცხადა: „რასიზმი წარსულის საქმე ან პოლიტიკური პრობლემა კი არ არის, არამედ რეალური საფრთხეა, რომელსაც პირისპირ უნდა დავუდგეთ. როგორც ეკლესიის წევრები, თვალს ვერ დავხუჭავთ ბოროტმოქმედებაზე, მაგრამ პატივს ვცემთ ყოველი ადამიანის სიცოცხლეს. ჩვენ ხომ სიყვარულის, გულმოწყალებისა და სამართლიანობის ღმერთს ვემსახურებით. რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ მშვიდობიან, არაძალადობრივ პროტესტებს ვემხრობით, თუმცა იმ ადამიანების გვერდით ვართ, ვისი ხმაც არ შეისმინეს, ყურად არ იღეს მათი ჩივილი რასობრივი ჩაგვრის გამო. ამგვარი დამოკიდებულება სიცოცხლის ევანგელიეს ეწინააღმდეგება. ჩვენ ვლოცულობთ ჯორჯ ფლოიდისთვის და მათთვის, ვინც ამგვარ უსამართლობას შეეწირა, ვლოცულობთ ჭირისუფალთათვის, ვლოცულობთ იმისთვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე მშვიდობა დამკვიდრდეს“ (2020 წლის 29 მაისი).

http://www.usccb.org/news/2020/20-83.cfm

აშშ-ს ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტის განცხადება

ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებასა და ეროვნულ პროტესტებთან დაკავშირებით მთავარეპისკოპოსმა ხოსე გომესმა განაცხადა: „ჯორჯ ფლოიდის მკვლელობა უაზრო და სასტიკი იყო. უნდა გვესმოდეს, რომ პროტესტები, რომელთაც ჩვენს ქალაქებში ვხედავთ, ჩვენი დებისა და ძმების გაწბილებას და რისხვას ასახავს. ისინი დღესაც განიცდიან დევნასა და დამცირებას კანის ფერის გამო. ამერიკაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. რასობრივი დისკრიმინაცია, რომლითაც ჯერ კიდევ დასნებოვნებულია ამერიკის საზოგადოების ნაწილი, უნდა აღმოიფხვრას. მაგრამ ბოლო ღამეების დარბევები დამღუპველია. ძალადობა არაფერს გვაძლევს და ბევრს გვაკარგვინებს. ხანძრებით, ძარცვით და ჩვენი მეზობლების საკუთრების განადგურებით რასობრივ თანასწორობას ვერ დავამკვიდრებთ. ისე ნუ გავაკეთებთ, რომ ჯორჯ ფლოიდის სიკვდილმა აზრი დაკარგოს. პატივი ვცეთ ამ მსხვერპლს, ამოვძირკვოთ რასიზმი და სიძულვილი ჩვენი გულებიდან და აღვასრულოთ ჩვენი ერის წმინდა ფიცი - ვიქცეთ სიყვარულის, თავისუფლებისა და საყოველთაო თანასწორობის საზოგადოებად“ (2020 წლის 31 მაისი).

http://www.usccb.org/news/2020/20-84.cfm

გარდაიცვალა ჩინეთის „იატაკქვეშა“ კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი

თებერვალში ჯოსეფ სუ ბაიუმ კორონავირუსი დაძლია, მაგრამ ხანდაზმულობისა და შრომით ბანაკებში შერყეული ჯანმრთელობის გამო იგი 7 იანვარს უმანკო ჩასახვის ორდენის თავშესაფარში გარდაიცვალა. ის ორჯერ იყო დაპატიმრებული რწმენისა და ღმრთისმსახურების გამო და ერთობლიობაში შრომით ბანაკებში 13 წელი გაატარა, თუმცა მსახურება არც პატიმრობისას შეუწყვეტია.

https://www.catholicnewsagency.com/news/chinese-bishop-who-suffered-years-of-forced-labor-dies-at-98-76526

ბათუმი - სიყვარულისა და ძმობის ქალაქი

ბათუმი, როგორც დასახლებული პუნქტი, უძველესი დროიდან ფიქსირდება. მისი თანამედროვე, ევროპული ტიპის ქალაქად ჩამოყალიბება კი XIX ს-დან დაიწყო, როდესაც გაყვანილ იქნა ახალციხე-ბათუმის დამაკავშირებელი სამხედრო მნიშვნელობის გზა, ასევე, რკინიგზა, გაიხსნა სამრეწველო საწარმოები, გაფართოვდა პორტი, საიდანაც აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი საზღვარგარეთ გადიოდა. ბათუმის მოსახლეობა რამდენიმე წელიწადში ათჯერ გაიზარდა. ასეულობით კათოლიკე, რომელთა რიცხვმაც საგრძნობლად იმატა, სახლობდა ქალაქსა და მის შემოგარენში. ამან განაპირობა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც კავკასიის მასშტაბით საკათედრო ტაძრად იყო ჩაფიქრებული. ტაძრის აშენების ნებართვის მოპოვებასა და მის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მამა ანსელმო მღებრიშვილს და ბათუმში იმხანად მოქმედ ევროპული სახელმწიფოების საკონსულოებს. საწყის ეტაპზე, და შემდგომაც, მშენებლობისათვის დიდი შრომა, ენთუზიაზმი და სახსრები გაიღეს კათოლიკე ოჯახებმა ბათუმიდან, ქუთაისიდან, სამხრეთ საქართველოდან. ტაძრისათვის გამოყოფილი ადგილი ჭაობიანი იყო და კათოლიკეებს ხშირად დასცინოდნენ, რადგან შეუძლებლად მიაჩნდათ იქ ტაძრის აშენება, მაგრამ თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო; განუზომელია ტაძრის მშენებლობაში ზუბალაშვილების ოჯახის წვლილი. მშენებლობისათვის ძირითადი თანხა შემოწირულობა იყო.

ბათუმი თავიდანვე მრავალფეროვანი და მრავალკონფესიური, საქართველოს მასშტაბით ერთადერთი ევროპული ტიპის ქალაქი იყო. ბათუმელები ერთმანეთის პატივისცემით, თანადგომითა და მშობლიური ქალაქის სიყვარულით გამოირჩეოდნენ. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში, როგორ გულითადად ულოცავდნენ ერთმანეთს მეზობელი მართლმადიდებლები, კათოლიკეები, მაჰმადიანები, იუდეველები რელიგიურ დღესასწაულებს, არავითარ დაპირისპირებას რელიგიურ და ეროვნულ ნიადაგზე ადგილი არ ჰქონია.

დღეს სიტუაცია სხვანაირია. ამასთან დაკავშირებით, ხშირად მახსენდება სახარებისეული სწავლება: ,,ერიდეთ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს“. სასულიერო პირი, რომელიც სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს, ძმობის მაგივრად მტრობას თესავს, ჩემს

თვალში სწორედ ცხვრის ტყავში გახვეული მგელია. ჩვენ მათ ქრისტესმიერ და-ძმებად და და-ეკლესიად მოვიხსენიებთ, ისინი კი...

მაგრამ ადამიანები, ადრე თუ გვიან, ერკვევიან სიმართლეში. ამაღლების დღესასწაულის წინადღეს, ერთმა ბათუმელმა, ბატონმა გიორგი მარგიშვილმა, სამშობლოს დიდად მოყვარულმა პიროვნებამ, დამირეკა და მითხრა, რომ ჩვენი ეკლესიისათვის რაღაცის შემოწირვა სურდა და თუ შეიძლებოდა. ვუპასუხე, რომ შემოწირულობა, თუ ის სუფთა გულით არის ნაკარნახევი, ყოველთვის სასურველი და მისაღებია ღვთისათვის. ბატონი გიორგი მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი და ხელოვანი კაცია. მეორე დღეს იგი ტაძარში გვეწვია და მამა გაბრიელეს წარვუდგინე; ხანმოკლე საუბრის შემდეგ გიორგიმ გადმოგვცა მის მიერ ექსკლუზიურად ჩამოსხმული სამი ბოთლი ღვინო. ჩემს კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, რომ ბოთლებს ამშვენებდა აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის, მამა ივანე გვარამაძისა და მამა მიხეილ თამარაშვილის პორტრეტებიანი ეტიკეტები. იმ დღეს მამა ივანე გვარამაძის მოხსენიება იყო. ბატონ გიორგის სურდა, ამით პატივი მიეგო ამ დიდი პიროვნებების ხსოვნისა და კათოლიკე ეკლესიისათვის. მისგან, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრისაგან, ეს მშვენიერი ძმური ჟესტი იყო. როდესაც მე და გიორგი მარტო დავრჩით, მან გამიმხილა: თქვენი ტაძარი საპატრიარქოს რომ გა დასცეს, ამაში მეც მიმიძღვის წვლილი და ახლა ძლიერ განვიცდიო.

იმ არეულ 90-იან წლებში, ე.წ. „პერესტროკის“ ხანაში, მოსახლეობაში ხელწერილებს ვაგროვებდი, რათა ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესია მისი კანონიერი მფლობელისთვის, კათოლიკე ეკლესიის მრევლისათვის გადაეცათ. ხელმომწერთა დიდი ნაწილი, კათოლიკეებთან ერთად, მართლმადიდებლებიც იყვნენ, ძირძველი ბათუმელები, რომლებმაც იცოდნენ თანადგომისა და ძმური სიყვარულის ფასი. მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც სძულდა და ეშინოდა ევროპისა და დასავლეთის, რომელთანაც გაიგივებული იყო კათოლიკე ეკლესია, სხვაგვარად გადაწყვიტა: ტაძარი საქართველოს საპატრიარქოს გადასცა და ამით ორ და-ეკლესიას შორის კიდევ ერთი სადავო საკითხი წამოჭრა.

ხშირად მიწევს შეხვედრა და საუბარი ბათუმის ინტელიგენციასთან, ხელოვან ხალხთან, ძირძველ ბათუმელებთან, რომელთა უმრავლესობა ღვთისმშობლის შობის კათოლიკური ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემას უკანონოდ მიიჩნევს და იმედს გამოთქვამს, რომ ტაძარი ბოლოს და ბოლოს მის ჭეშმარიტ პატრონს, კათოლიკე ეკლესიის მრევლს დაუბრუნდება.

დიაკონი თ. პარმაქსიზიშვილი
ბათუმი

Mariette Desrochers
Sœur de Sainte-Nino

მარიეტ დესროშე
წმიდა ნინოს კონგრეგაციის და

ცოლქმრული

მოამზადა ნანა ნეგბიერიძემ

იმან, თუ როგორი იყო გზა წმიდანობისკენ ოჯახური წყვილებისთვის წარსულში, შეიძლება გააოცოს თანამედროვე ქრისტიანები; მაგალითად, რელიგიური მოტივებით მიღებული გადაწყვეტილება სექსუალური ცხოვრების სრული უარყოფის შესახებ. დღესდღეობით უბიწოება ქორწინებაში არ არის გაიგივებული სექსის უარყოფასთან, დღეს ეკლესია მიიჩნევს, რომ ქორწინებას აქვს ორი დანიშნულება: შემაკავშირებელი და პროკრეაციული (ახალი სიცოცხლის წარმოშობა). თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ უბიწოება ქორწინებაში მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ქრისტიანობის ისტორიაში შეუძლებელია ყველა იმ წყვილის ჩამოთვლა, რომლებმაც თავშეკავების აღთქმა დადეს თანაცხოვრების გარკვეული პერიოდის შემდეგ.

ტრადიციის თანახმად, უბიწო ქორწინებაში ცხოვრობდნენ, პირველ რიგში, მარიამი და იოსები. შემდეგდროინდელ წყვილთა შორის, რომლებსაც ამგვარად ესმოდათ სიწმინდე და სრულყოფილი ურთიერთსიყვარული, განსაკუთრებით ცნობილი გახდნენ წმიდა ცეცილია (დაახლ. 230 წელი) და მისი მეუღლე ვალერიანე. ცეცილიამ უბიწოების აღთქმა დადო, თუმცა მშობლების დაჟინებული თხოვნით დაქორწინდა. ნიშნობის წინ მან აუწყა წარმართ ვალერიანეს, რომ ქრისტიანია. შემდეგ ჩუმად წაიყვანა იგი პაპ ურბან I-თან. შედეგად, ვალერიანე და მისი ძმა ტიბურტი მონათლნენ. შემდგომში ისინი მფარველობდნენ დევნილ ქრისტიანებს. მალე ორივე ძმა დააპატიმრეს და წამების შემდეგ მოკლეს. დააპატიმრეს ცეცილიაც. მისი საოცარი სილამაზით მოიხიბლა როგორც რომაელი მოსამართლე, ისე ჯარისკაცები და ჯალათიც. ამის მიუხედავად, განაჩენი გამოტანილ იქნა და ახალგაზრდა ქალი აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით. მისი სხეული უვნებელი იპოვეს 824 წელს, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ ჯალათმა ვერ შეძლო ცეცი-

უბიწოება

ლიასთვის მახვილით მოეკვეთა თავი, მხოლოდ ჭრილობა მიაყენა მას და წმიდა ქალწული ნელნელა, წამებით გარდაიცვალა.

ცეცილიას კულტი ცნობილი იყო უკვე V საუკუნეში, მისი ხსენების დღე კი აღინიშნებოდა 22 ნოემბერს 545 წლიდან. დაახლოებით 820 წელს პაპმა პასხალის I-მა (ლათ. Paschalis) ბრძანა ცეცილიას სხეული რომში, მისივე სახელობის ტაძარში გადაესვენებინათ. ტაძრის განახლების დროს, 1599 წელს, კარდინალმა სფონდრატმ გახსნა წმ. ცეცილიას სარკოფაგი და მისი სხეული კვლავ გაუხრწნელი აღმოჩნდა. მართლმადიდებელი ეკლესია 5 დეკემბერს ერთად მოიხსენიებს წმ. ცეცილიასა და ვალერიანეს. ხოლო რომის კათოლიკე ეკლესია ვალერიანეს 14 აპრილს მოიხსენიებს. გასაკვირი არ არის, რომ ლიტურგიკულ წიგნებში არ არის ნახსენები ცეცილიასა და ვალერიანეს ცოლქმრობის შესახებ. ამ წყვილისთვის გზა წმიდანობისკენ ცოლქმრობა არ გამხდარა. იმდროინდელი ეკლესია მიიჩნევდა, რომ წმიდანობა არის ადამიანის პიროვნული მადლი. დღეს წყვილს ცხოვრებისეული გზის არჩევანით ერთობლივად შეუძლია უპასუხოს ღმერთის მოწოდებას და მიაღწიოს წმიდანობას. ცეცილია ცნობილია, როგორც საეკლესიო მუსიკის მფარველი. თუმცა მისი გავლენა ქრისტიანული სულიერების განვითარებაზე სხვა რამეში მდგომარეობს. ქორწინებაში წმ. ცეცილიას უბიწოება საუკუნეების განმავლობაში შთააგონებდა ღვთისმოსავ ქალებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სექსუალური თავშეკავება ცოლქმრობაში არის ქრისტიანული სულიერების იდეალი. მრავალმა ცოლმა შეძლო ქმრის დარწმუნება, რომ უბიწოება დაეცვა. ეკლესია ასეთ ქალებს ყოველთვის წმიდანებად მიიჩნევდა.

https://www.dialog1994.by/life/svyatyie-supruzhestva-v-istorii-tserkvi-4/

მე-V საუკუნეში ანტიოქიაში ცხოვრობდნენ მეუღლეები წმ. ათანასია და წმ. ანდრონიკე. ანდრონიკე ცნობილი ოქრომჭედელი იყო, მას იმპერატორიც კი იცნობდა. მეუღლეები თავის შემოსავალს სამ ნაწილად ყოფდნენ: ერთ ნაწილს გლახაკებს ურიგებდნენ, მეორეს-უპროცენტოდ აძლევდნენ გაჭირვებულებს, მესამეს კი ოჯახის სარჩენად იყენებდნენ. როცა კეთილმსახურ მეუღლეებს ქალ-ვაჟი გარდაეცვალათ, მათ გადაწყვიტეს, მთლიანად უფლის მსახურებისათვის მიეძღვნათ თავი და ორივემ ბერმონაზვნური ღვაწლი იტვირთა: ანდრონიკე ეგვიპტის ერთ-ერთ სკიტში ამბა დანიელს დაემონაფა, ათანასია კი ტაბენისის დედათა სავანეში დამკვიდრდა. თორმეტი წლის მოსაგრე ცხოვრების შემდგომ ანდრონიკე წმიდა ადგილთა მოსალოცად იერუსალიმში გაემგზავრა. გზაში მას დაემგზავრა „ბერი ათანასე“ - წმიდა ათანასია, რომელსაც მოგზაურობისას მოსალოდნელი განსაცდელის თავიდან ასარიდებლად მამაკაცის სამოსი გადაეცვა. ანდრონიკემ ვერ იცნო ხანგრძლივი ღვაწლით სახეცვლილი მეუღლე. იერუსალიმიდან დაბრუნებული წმიდანები ერთ სენაკში დამკვიდრდნენ და მდუმარების ღვაწლს შეუდგნენ. ღირსმა ანდრონიკემ მხოლოდ ათანასიას მიცვალების შემდგომ შეიტყო წმიდა დედის მიერ დატოვებული წერილიდან თანამოსაგრის ვინაობა. რვა დღის შემდეგ ისიც შეუერთდა ზეცად თავის მეუღლეს. ლიტურგიაში მათ ერთად მოიხსენიებენ 9 ოქტომბერს.



ელზა ზუბაშვილი

სიწმინდე – მანათობელი სიკეთე

როგორც ვიცით, 2020 წელი წმიდანთა წლადაა გამოცხადებული კათოლიკე ეკლესიის მიერ. სიწმინდისაკენ მოხმობილია ყველა, თითოეულს ღმერთი უძღვნის განსაკუთრებულ ნიჭს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უნდა იყოს სწრაფვა სიწმინდისაკენ.

მინდა, ვისაუბრო ჩვენი საკრებულოს პენსიონერ წევრთა შესახებ, რომლებსაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ დაესწრონ საკვირაო წირვებს, ეზიარონ და მონაწილეობა მიიღონ საეკლესიო ცხოვრებაში. მაგრამ ისინი მოხმობილნი არიან სიწმინდისაკენ სიყვარულით ცხოვრებით და თავიანთი ყოველდღიური ლოცვებითა და საქმიანობით. თითოეულ მათგანს ესაჭიროება სიყვარული და თანადგომა. ამიტომ საკრებულოს წევრები ზრუნავენ მათზე. წმიდა ნინოს დებთან ერთად მოვინახულებთ ხოლმე ავადმყოფებს, მიგვაქვს მათთვის საეკლესიო კალენდარი, გაზეთ ,,საბას“ ყოველი ნომერი, ვუკითხავთ დირექტივებსა და წესდებებს, რათა უკეთ გაეცნონ ეკლესიის ცხოვრებასა და მის ყოველდღიურ საქმიანობას. მათ არ უჭირთ მატერიალურად, მხოლოდ ესაჭიროებათ სულიერი საზრდო, აინტერესებთ, როგორ ჩატარდა წმიდა წირვა, რაზე ისაუბრა მოძღვარმა ქადაგებისას და ასე შემდეგ; ყოველთვის აქვთ სურვილი ჩვენთან შეხვედრისა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პანდემიის პერიოდში ვეღარ შევძელით მათი მონახულება, რის გამოც ძალიან ვწუხვართ. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ აღნიშნულ საკითხს მათი სულიერი სიმშვიდისა და თანადგომისათვის.

მაისის თვე ჩვენი ეკლესიის კალენდრით ღვთისმშობლის თვეა. ამიტომ ყოველდღიურად ვლოცულობთ სავარდს და შევთხოვთ უფალს, გაიზარდოს მორწმუნეთა რაოდენობა და გაძლიერდეს ჩვენი სამრევლო. დაე, სიწმინდე მანათობელი სიკეთე იყოს ყველასათვის.

ახალციხე

პეტერ პაულ რუბენსი,
„საიდუმლო სერობა“,
1631-1632, ბრერის
პინაკოთეკა, მილანი, იტალია

თარგმნა ვერიკო ნოზაძემ

„საიდუმლო სერობა“ გამოჩენილ მხატვართა თვალით

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საბა“ № 6 (294)

პეტერ პაულ რუბენსი, „საიდუმლო სერობა“, 1631-1632

ჩემი აზრით, სერობის მოვლენათა ამსახველი ერთ-ერთი მშვენიერი სურათია.

ფრანგი ფერმწერი ნიკოლა პუსენი თავის ცნობილ კომპოზიციაში ციკლიდან „შვიდი საიდუმლო“ (1647, ეროვნული გალერეა, ედინბურგი) ცდილობს მაქსიმალური ისტორიული სიზუსტით წარმოგვიდგინოს მომხდარი.

იესო და მოციქულები მაგიდასთან კი არ სხედან, არამედ წამოწოლილნი არიან მის ირგვლივ, როგორც ეს იყო მიღებული ანტიკურ ხანაში, ხოლო პალატის ინტერიერი მოგვაგონებს ტრიკლინიუმს - ძველი რომაული საცხოვრებელი სახლის საზეიმო სასადილოს. აღორძინების ეპოქიდან დაწყებული, ისტორიული ტრადიციის ფარგლებში, იზრდება ინტერესი მოვლენის ფსიქოლოგიური შინაარსის მიმართ, უწინარესად, მოციქულთა

საგანგებო



ნიკოლა პუსენი, კომპოზიცია ციკლიდან ,,შვიდი საიდუმლო“, 1647, ეროვნული გალერეა, ედინბურგი

განცდისადმი, როცა მათ მოისმინეს იესოს სიტყვები: ,,ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს“ (მათე 26, 21).

„საიდუმლო სერობის“ თემის ფსიქოლოგიური გადაწყვეტის კიდევ ერთ კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ ნიკოლაი გეს სურათი (1863, რუსეთის სახელმწიფო მუზეუმი, სანკტ პეტერბურგი), რომელსაც თავდაპირველად ეწოდებოდა „იუდას განდგომა“.

ამ ნაწარმოებში სახარებისეული თემის ინტერპრეტაციის ირგვლივ ცხარე პოლემიკა შესანიშნავადაა აღწერილი კვლევით ლიტერატურაში. ასევე, ცნობილია თეოდორ დოსტოევსკის უარყოფითი კომენტარი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტილოს ავტორმა უდიდესი მოვლენა წარმოგვიდგინა, როგორც ,,ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი შფოთი“. რა თქმა უნდა, ნიკოლაი გე სხვა ეპოქის ოსტატი და სრულიად სხვაგვარი რელიგიური მენტალიტეტის მქონე ადამიანია. იგი ქმნის არა ხატს ან ფრესკას სატრაპეზო მონასტრისათვის, არამედ სურათს, საერო საზოგადოებისთვის განკუთვნილი გამოფენისთვის, და სულაც არ გრძნობს თავს ვალდებულად დაიცვას იკონოგრაფიული ნორმები. და მას, XIX საუკუნის ადამიანს, უფრო მეტად აინტერესებს სიტუაციის ფსიქოლოგიური ასპექტი, ვიდრე საკრალური. ამიტომ იუდას წასვლის ტრაგიკული, მაგრამ მაინც ,,პერიფერიული“ ფაქტი იქცევა ცენტრალურ მოვლენად, მოქმედების ყველა მონაწილის ყურადღებას რომ მიიპყრობს.

იუდას პიროვნული მნიშვნელობის განსაზღვრა სურათზე რთულია: მისი ფიგურა იმდენად ბუნდოვანია, რომ სახის ნაკვთების გარჩევა თითქმის შეუძლებელია. თუმცა სწორედ ის, და არა ქრისტე, ყველა ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ხდება კომპოზიციური მიზიდულობის წერტილი, უნებლიეთ რომ მიიპყრობს არა მხოლოდ შეძრწუნებულ მოციქულთა, არამედ მაყურებელის ყურადღებასაც. და თუ მიმავალ იუდას ერთხმად შესცქერის ყველა მოციქული, სახეზე რომ აღ-

ნიკოლაი გე, „იუდას განდგომა“, 1863, რუსეთის სახელმწიფო მუზეუმი, სანკტ პეტერბურგი

ბეჭდვიათ ძლიერ ემოციათა მთელი სპექტრი - განცვიფრებიდან აღშფოთებამდე - ქრისტეს თვალები დაბლაა დახრილი და მთელი მისი სახე სავსეა თავშეკავებული, მაგრამ მეტად ღრმა სევდით. იუდას წასვლა მისთვის იქცა მწვავე სულიერი ტკივილის წყაროდ და გარკვეული დროით მოიცვა მთელი მისი შინაგანი ძალა, რადგან იუდა საკუთარი თავის დასაღუპად მიდიოდა. და სწორედ ეს ტანჯვა, ჩვენი აზრით, ნაწარმოების ფსიქოლოგიური ღეძია. ის არ ეხება იუდას, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს მას. სურათი ქრისტეს მწუხარებას გამოხატავს ნებისმიერი ცოდვილის მიმართ, შეუპოვარი რომაა თავის ცოდვაში, რაც გარდაუვალ სულიერ სიკვდილს მოასწავებს.

ილია ეფიმის ძე რეპინი, „საიდუმლო სერობა“, 1903, ნოვგოროდის სახელმწიფო მუზეუმი

რუსი მხატვარი ილია ეფიმის ძე რეპინი, „საიდუმლო სერობა“, 1903

სურათზე ასახულია მომენტი, როცა უკვე ყველამ ივახშმა და გაფაციცებით უსმენენ იესოს ქადაგებას. ოთახი განათებულია მაღალ ლამპართა ალით, რომლის რხევაც მოძრაობის ილუზიას ქმნის.

XX საუკუნის ხელოვნებაში ევქარისტიის გამოსახულების ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი სურათია სალვადორ დალის „საიდუმლო სერობა“ (1995, ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი).

ერთი შეხედვით, ეპატაჟურ სიურეალისტთა და მათ მიერ არჩეულ თემას შორის არაფერი საერთო არ უნდა იყოს. დღემდე ბევრს ეჩოთირება მოსაზრება, რომ ,,ვილჰელმ ტელისა“ ან ,,ალმოდებული ჟირაფის“ ავტორი პერიოდულად ,,ხელყოფდა“ წმიდას. მაგრამ, ძალიანაც რომ არ გინდოდეს ვინმეს განაწყენება, ამ მხატვრის სურათების გარეშე დღეს უკვე შეუძლებელია გასული საუკუნის ქრისტიანული კულტურის წარმოდგენა. და მათი სიღრმე კიდევ უფრო ამტკიცებს იმას, რომ „ქარი ქრის, სადაც მოისურვებს“ (იოანე 3, 8). სურათზე მოქმედება ხდება მკაცრად და ზუსტად განსაზღვრულ ინტერიერში, სადაც უზარმაზარი ხუთკუთხა ფანჯრის მიღმა ჩანს დალისთვის დამახასიათებელი პეიზაჟი: ზღვა და შორეული მთის მონახაზი. მაგიდის ირგვლივ მუხლმოყრილი თავდახრილი, მოციქულები ღრმა ლოცვაში არიან ჩაფლულნი. მაგიდაზე დევს ორი ნაჭერი პური და სასმისი ღვინით. იესო ხელით მიანიშნებს ზევითკენ, სადაც ღია ფანჯრებში მოჩანს ადამიანის შიშველი ტანი, გვერდზე ხელგაშლილი მკლავებით - იმ პოზაში, ასე ძალიან რომ მოგვაგონებს ჯვარცმას. ეს

საგანგებო ჩანართი

სალვადორ დალი, ,,საიდუმლო სერობა, 1955, ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი

ჩვენება მიუთითებს მაცხოვრის მიერ დადგენილ სიტყვებზე: ,,ეს ჩემი სხეულია“ (მათე 26, 26).

ერთი შეხედვით ესოდენ სწორხაზოვანი გადაწყვეტა სინამდვილეში ფუნდამენტალურ საფუძველზეა აგებული. საიდუმლოს აღსრულებისას მღვდელი მაღლა აღმართავს ჰოსტიას - პურს, ქრისტეს სხეულად ქცეულს - და ხალხი რამდენიმე წამის განმავლობაში მდუმარედ შეჰყურებს მას. ზიარების დროს მღვდელი კვლავ რამდენიმე წამით უჩვენებს ქრისტეს სხეულს მოზიარეს, რომელსაც, პირდაპირი მნიშვნელობით, აძლევს საშუალებას, შეხვდეს მაცხოვარს მზერით. და სწორედ უფლის სხეულის ვიზუალური ჭვრეტის მომენტი გახდა დალის კომპოზიციის საფუძველი.

თანამედროვე რუსი მხატვრების მიერ სერობის თემაზე შექმნილ სურათთა შორის გამორჩეულია პერმელი მხატვრის პავლე პოპოვის (დაიბადა 1966 წელს, ქალაქ პერმში) ნამუშევარი.

მისი შექმნის შესახებ იგი შემდეგს გვიამბობს. კომპოზიციის შესაქმნელად სახელოსნოში მოვიწვიე ჩემი მეგობრები და ნაცნობები, იატაკზე გავფინე დიდი ხალიჩა და შევთავაზე მათ წრეში დამსხდარიყვნენ. სულ ცამეტი ადამიანი იყო. როცა სანთლები ავანთე და შუქი გამოვრთე, დავინახე, რომ ეს არაჩვეულებრივი, ორიგინალური იყო. შეიქმნა უცნაური დრამატურგია. სინათლე ადამიანთა ფიგურებისგან შემაშფოთებელ, დიდ ჩრდილს წარმოქმნიდა კედელზე. ასეთი ეფექტის მოფიქრება შეუძლებელია. ეს ჩრდილები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიმბოლო რაღაც სახიფათოს მოლოდინისა. უზარმაზარი ჩრდილი ჩამოწვა ამ ადამიანთა თავზე, შეშინებულნი რომ იმალებოდნენ. ეს სწორედ ნატურამ მიკარნახა. სწორედ მისი წყალობით შევძელი შემექმნა ფერწერული ტილო.

ასე აღწერენ, ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი სურათები ქრისტეს საიდუმლო სერობის ამბავს!

პავლე პოპოვი, „საიდუმლო სერობა“, სადიპლომო ნაშრომი

http://hristiani.ru/izobrazhenija-tajnoj-vecheri-izvestnymi-hudozhnikami/?fbclid=IwAR2HSoD_xVEik_liM6T9KhWmxUNBtzGiETw9eVL7hA_fFQq_bHbA8bq-D4s

ვიაროთ მუდამ ფესვებს მოუწყვეტლივ „ შეთავაზება 2020 წლისათვის“

(III გზავნილი)

ვიაროთ ერთად... მაშასადამე, გახიზნულებთან ერთად

„როცა შემოგეხიზნებათ ხიზანი თქვენს ქვეყანაში, არ შეავიწროვოთ იგი. როგორც მკვიდრი თქვენს შორის, ისე იყოს თქვენთან ხიზანი და გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი, რადგან ხიზნები იყავით თქვენც ეგვიპტის ქვეყანაში“ (ლევ. 19:33-34).

მთელ მსოფლიოში მრავალი კაცი, ქალი და ბავშვი იძულებულია დატოვოს სამშობლო და სხვა ქვეყანაში ეძებოს უკეთესი მომავალი. მიზეზები, რაც მათ ამისკენ უბიძგებს, იმ დაბრკოლებებზე ძლიერია, რომელთა წინაშეც ისინი დგანან.

ჩვენ, ყველას, გვსურს ხელუხლებლად შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული კულტურის განსაკუთრებულობა, მაგრამ განა სტუმართმოყვარეობა ადამიანისათვის მოცემული უმშვენიერესი საჩუქარი არაა? რა თქმა უნდა, უცხოელთა ჩამოსვლა მრავალი რთული საკითხის წინაშე გვაყენებს. ემიგრანტთა ნაკადის შემოდინება უნდა კონტროლდებოდეს. თუმცა, პრობლემებთან ერთად, ის ცხოვრების ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

ისეც ხდება, რომ ცხოვრობენ ერთ ქალაქში, ერთ უბანში, ერთ სოფელში, და ადამიანები, თაობიდან თაობამდე, ერთმანეთისთვის უცხონი რჩებიან. საერთო კულტურულ ღირებულებათა მქონე ადამიანებს შორისაც კი შესაძლებელია საერთოდ არ არსებობდეს ურთიერთგაგება. მზად ვართ კი, მივიღოთ სხვა ღირებულებათა სისტემის ან სხვა მრწამსის მქონე ადამიანები?

თუკი შევხვდებით სხვა ადამიანებს, მათ, რომლებიც შორიდან ჩამოვიდნენ, ასევე, მათ, ჩვენ გვერდით რომ ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენთვის უცხონი რჩებიან, უსათუოდ უკეთ გავიგებთ, რომ ისინი სხვაგვარად აზროვნებენ, ვიდრე ჩვენ.

- არ შემოვიფარგლოთ ინფორმაციის ან სტატისტიკურ მონაცემთა ძებნით, გამოვნახოთ დრო და დავფიქრდეთ ემიგრანტთა ან შორიდან ჩამოსული ოჯახების პრობლემებზე, მოვუსმინოთ მათ და შევეცადოთ გავიგოთ მათი ისტორია.
- მრავალი ახალგაზრდა, ისინიც კი, რომელთაც მატერიალურად არ უჭირთ, ამქვეყნად მარტო გრძნობენ თავს. ოჯახური კავშირები სუსტდება, რასაც შედეგად მოჰყვება მარტოსულობის განცდა, ხშირად სხვებისთვის შეუმჩნეველი. შევეცადოთ მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ და დავუახლოვდეთ გარიყულებს, რომლებიც ხშირად ჩვენ გვერდით ცხოვრობენ.

თარგმნა ვერიკო ნოზაძემ

„წმიდანნი...

წმ. მიქაელ ულუმბელი, მონაზონი - მოხსენიების დღე - 1 ივლისი

წმ. მიქაელ ულომბოელი, ერთ-ერთი ათცამეტ ასურელ მამათაგანი, VI საუკუნის შუა წლებში იოანე ზედაზნელთან ერთად მოვიდა ქართლში ანტიოქიიდან. იგი ზედაზნის მონასტერში ცხოვრობდა, შემდეგ კი საქადაგებლად დაემკვიდრა სოფელ ულუმბოს ახლოს, სადაც მდინარე ალისწყალთან ააშენა მონასტერი, რომელიც არაერთხელ გამხდარა შემოსევის საგანი, რის გამოც მიქაელ ულუმბოელის ცხოვრების ამსახველი წერილობითი წყაროები დაკარგულია. აღსრულების შემდეგ ღირსი მამა მის მიერვე აშენებულ მონასტერში დაკრძალეს.

წმ. არჩილ მეფე წამებული - მოხსენიების დღე - 4 ივლისი

არჩილ სტეფანოზის ძე, ქართლის ერისმთავარი, VIII საუკუნეში, ჯუანშერის მატიანეში მოხსენიებულია მეფედ. არჩილმა არ უარყო ქრისტეს რჯული, უარი თქვა დიდებასა და პატივზე, რის გამოც არაბებმა წამებით მოკლეს 774 წელს.

წმ. ღირსი გიორგი მთაწმიდელი - მოხსენიების დღე - 10 ივლისი

გიორგი მთაწმიდელი, მისი ბიოგრაფის გიორგი მცირის გადმოცემით, დაიბადა 1009 წელს თრიალეთში, ადგილობრივი დიდებულის ოჯახში. იგი სწავლობდა ხახულის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი ბიძები - გიორგი მწერალი და საბა. მოგვიანებით ბიძამ გიორგი კონსტანტინოპოლს წაიყვანა. იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. 1034 წელს გიორგი მთაწმიდელი სამშობლოში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში. ორი წლის შემდეგ იგი სირიაში, შავ მთაზე გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. მოგვიანებით გიორგი იერუსალიმს გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსალოცად. შემდეგ დაბრუნდა შავ მთაზე თავის მოძღვართან და 1040 წელს მისივე რჩევით ათონს გაემგზავრა. 1044 წელს გიორგი მთაწმიდელი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მის იშვიათ შემოქმედებით და ორგანიზატორულ ნიჭს სათანადო ასპარეზი მიეცა. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონასტერი და იგი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერად აქცია. გიორგიმ უარყო წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეებში და ადამიანის პირადი ღირსება წამოსწია წინ. იგი ნაყოფიერად იღვწოდა ქართული საეკლესიო ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ცნობილია ბიბლიის ახალი, ე. წ. „გიორგისეული რედაქცია". მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი (სახარება-ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი), სხვა წიგნები კი ბერძნულ დედანს შეაჯერა. გიორგი მთაწმიდელმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ ჰაგიოგრაფიასა და აპოკრიფულ მწერლობას, ეგზეგეტიკას, ჰიმნოგრაფიასა და საეკლესიო სამართალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვიმესი", რომელიც ათონის ივერთა მონასტრის მხატვრული მატიანეა. ნაყოფიერად იღვაწა გიორგი მთაწმიდელმა ლიტურგიკის სფეროშიც და ქართულ მწერლობას შესძინა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური თხზულებანი. გიორგი მთაწმიდელის ორიგინალური იამბიკოები და ნათარგმნი მდიდარი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მისი პო-

საქართველოში“

ეტური კულტურის დადასტურებაა. გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე ალექსანდრიელის, იოანე დამასკელისა და სხვათა თხზულებანი. მისმა მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის აღმავლობას მომდევნო საუკუნეებში.

გიორგი მთაწმიდელი გარდაიცვალა 1065 წელს კონსტანტინოპოლში. ათონელმა მამებმა წმიდანის გვამი ათონზე გადაასვენეს და დაკრძალეს.

წმ. დინარ დედოფალი - მოხსენიების დღე - 13 ივლისი

წმიდა დინარა, ადარნასე მესამის ქალიშვილი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების წარმომადგენელი იყო. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა ჰერეთის დედოფალ დინარას შესახებ, რომელმაც თავის შვილ იშხანიკთან ერთად ჰერეთის ანუ ალბანეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობას აღუდგინა ქრისტიანული სარწმუნოება და იხსნა ისინი მწვალებელ-მონოფიზიტთა საეკლესიო უღლისაგან X საუკუნეში.

ცნობები „ივერიის დედოფალ დინარას“ შესახებ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე, რუსულ საეკლესიო მატიანეებშიცაა დაცული. ჰერეთის ანუ ალბანეთის უდიდესი ნაწილი ძველთაგანვე დასახლებული იყო ქართველური ტომებით, ამიტომაც ძველი წყაროები მასაც ივერიას უწოდებდნენ, შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე გადაშლილი ქვეყნის ნაწილად მიიჩნევდნენ. სლავურ-რუსული მეომარი ტომები, რომლებიც ზოგჯერ ლაშქრავდნენ სამხრეთის მხარეებს და ამიერკავკასიაში შემოდიოდნენ კასპიის ანუ დარუბანდის კარით, ხვდებოდნენ ივერიელ (ჰერ) მოსახლეობას, ამიტომაც, როგორც ჩანს, ჰერთა ანუ ივერიელთა დედოფალ დინარას შესახებ ცნობებიც მათ გაიტანეს რუსეთში. მოსკოვის კრემლის სასახლეში, ოქროს სადედოფლო დარბაზის ჩრდილოეთის კედელზე გამოხატულია თეთრ ცხენზე ამხედრებული მტერთა მძლეველი წმიდა დედოფალი დინარა.

წმ. ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული - მოხსენიების დღე - 16 ივლისი

ღირსი გიორგი მოღვაწეობდა შავ მთაზე; მან თავშესაფარი პოვა ,,მიუვალი მთის ნაპრალებში“, რის გამოც დაყუდებულსაც უწოდებენ; მას საქართველოდან წასული გიორგი მთაწმიდელი დაემონაფა, რომელიც გიორგი ღმერთშემოსილმა სამი წელი მონასტერში დაამკვიდრა, შემდეგ სქიმით აკურთხა და ,,ამით სრულყო მონაზნობა მისი“; მისი კურთხევით და შეგონებით გიორგი მთაწმიდელი ათონზე გაემგზავრა და გააგრძელა ექვთიმე მთაწმიდელის დაწყებული საქმე. მიუხედავად იმისა, რომ წმიდა გიორგი დაყუდებული განდეგილ ცხოვრებას ეწეოდა, მან უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებას. მას მტკიცე კავშირი ჰქონდა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან. წმიდა გიორგი დაყუდებულს გადაუწერია დავით მტბევარის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ცხოვრება სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართასი. წმიდა გიორგი დაყუდებული გარდაიცვალა 1068 წელს, თავისი სახელოვანი მოწაფის გარდაცვალების შემდეგ.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

საბაუნის სპეციალური შეთავაზება აბიტურიენტებსა და სტუდენტებს

ესაუბრა შორენა პარუნაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ახალ აკადემიურ წელს განსაკუთრებული სიახლეებით ხვდება. საბაუნი სხვადასხვა სახის ფინანსურ შეღავათებს სთავაზობს როგორც ახლად ჩარიცხულ, ასევე, მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტებსაც. ამ სიახლეთა შესახებ გვესაუბრება უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვაჟა ვარდიძე.

ბატონო ვაჟა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, წელს საბაუნიში ბევრი სიახლეა, გთხოვთ, გვიამბოთ ამ სიახლეების შესახებ.

უნივერსიტეტში მიმდინარე წელს ნამდვილად ბევრი სიახლე გვაქვს, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა, ჩვენი თანამშრომლების დაუღალავი შრომის შედეგად, დავიმატეთ სამი ახალი აკრედიტებული პროგრამა: ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამები; მეოთხე - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ამჟამად აკრედიტაციის პროცესშია, რომელიც მალე დასრულდება და უკვე სექტემბრიდან შევძლებთ სტუდენტების მიღებას ამ განხრითაც. გარდა ამისა, უნივერსიტეტში გაფართოვდა სტუდენტთა მომსახურების სერვისები, დაგვემატა გაცვლითი პროგრამები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომავალი წლის იანვრიდან გვექნება ულტრათანამედროვე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელი სტუდენტებისათვის.

რას სთავაზობს უნივერსიტეტი აბიტურიენტებს?

წელს აბიტურიენტებისათვის განსაკუთრებული შეღავათი გვაქვს დადგენილი. **პირველი ან მეორე** არჩევანით საბაუნიში ჩარიცხული ყველა სტუდენტი ისწავლის უფასოდ პირველი სემესტრის მანძილზე. ჩვენ კარგად გვესმის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რაც გამოიწვია კოვიდ პანდემიამ. სწორედ ამ ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი იღებს თავის წილ გამოწვევას და, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, აკეთებს აღნიშნულ შეთავაზებას, რითაც გვსურს ხელი შევუწყოთ აბიტურიენტებს უმაღლესი განათლების მიღებაში. ვფიქრობთ, ეს შეღავათები მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს აბიტურიენტებსა და მათ ოჯახებს ფინანსურ წნეხს და დაეხმარება ყველა იმ მომავალ სტუდენტს, ვისაც უმაღლესი განათლების მიღება სურს.

რას სთავაზობს უნივერსიტეტი სტუდენტებს, რომლებიც პირველი ან მეორე არჩევანით ჩაირიცხებიან საბაუნიში და, ამასთან, მოიპოვებენ სახელმწიფო გრანტს?

პირველი ან მეორე არჩევანით ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც მოიპოვებს სახელმწიფო დაფინანსებას, შემოდგომის სემესტრის გრანტის თანხა დაუბრუნდება სასწავლო სტიპენდიის სახით.

ვრცელდება თუ არა ეს ფინანსური შეღავათები მობილობით გადმოსულ სტუდენტებზე?

მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის გვაქვს სხვა სახის შეთავაზება, რომელიც გულისხმობს 50 %-იან ფასდაკლებას სწავლის საფასურზე პირველი წლის განმავლობაში.

როგორც ვიცით, გარკვეული სახის შეღავათები გაქვთ მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის...

დიახ, სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები ისარგებლებენ შემდეგი შეღავათებით:

- სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი;
- წლიური სწავლის საფასურის **ათ ნაწილად** გადახდის შესაძლებლობა;
- 20%-იანი ფასდაკლება ახლად აშენებულ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელზე ერთი წლის მანძილზე;

განსაკუთრებული შეთავაზება გვაქვს თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის. **შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე სამი სტუდენტი მიიღებს სწავლის საფასურის 50 %-იან დაფინანსებას ერთი წლის მანძილზე.**

და ბოლოს, რომ შევაჯამოთ, რატომ საბაუნი?

თუ გსურთ დაესწროთ მაღალკვალიფიციური პროფესორების ლექციებს და მიიღოთ კარგი თეორიული და პრაქტიკული განათლება, შეიძინოთ საუკეთესო მეგობრები, როგორც სტუდენტებს, ასევე, პერსონალს შორის, მონაწილეობა მიიღოთ გაცვლით პროგრამებში და ისწავლოთ უცხოეთში დაფინანსებით, მიიღოთ კარიერული განვითარების მხარდაჭერა, აქციოთ თქვენი იდეები პროექტად და დაიწყოთ მათი განხორციელება სტუდენტობის პერიოდშივე, საბაუნი სწორედ ის ადგილია, რომელიც ამ ყველაფერს გთავაზობთ.

SABAMEDIA
THE MEDIA OF THE CATHOLIC CHURCH IN GEORGIA
კათოლიკე ეკლესიის მედია საქართველოში

ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში უნივერსიტეტის კოდია

088

ხოლო ცალკეული საბაკალავრო პროგრამების კოდი შემდეგია:

თეოლოგია -	0880109
სამართალი -	0880108
ბიზნესის ადმინისტრირება -	0880102
ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) -	0880103
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა -	0880101
საერთაშორისო ურთიერთობები -	0880106
ფსიქოლოგია -	0880104
სოციოლოგია -	0880105
პოლიტიკის მეცნიერებები -	0880106

წერილი მოძღვრებს

ძვირფასო მოძღვარო,

სინოდალური შეხვედრის მოსამზადებელმა კომისიამ, კორონავირუსის პანდემიით

გამოწვეული პაუზის შემდეგ, სექტემბერში კვლავ განაახლა მუშაობა ამ შეხვედრის მოსამზადებლად.

ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსთან შეთანხმებით, გვსურს, გაგაცნოთ რამდენიმე

პუნქტი:

1) შეხვედრის თარიღი - 11-12 სექტემბერი, წეროვანი

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს, პირველ რიგში, საკრებულოს სამწყსო საბჭოს

რამდენიმე წევრი, ან იმ საკრებულოთა წარმომადგენლები, სადაც საბჭო არ ფუნქციონირებს

ამ წესის მიხედვით.

მონაწილეთა რაოდენობა დეკანატების მიხედვით:

- აღმოსავლეთ საქართველოს დეკანატიდან - 10
- დასავლეთ საქართველოს დეკანატიდან - 10
- სამხრეთ საქართველოს დეკანატიდან - 10
- ყველა მღვდელმსახური და ყველა დიაკვანი
- საბერმონაზვნო საკრებულოდან თითო წარმომადგენელი
- ახალგაზრდული ცენტრიდან ორი წარმომადგენელი: სემინარისტი და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.
- კარიტასიდან - 2,
- უნივერსიტეტ ,,საბადან“ - 2,
- საეკლესიო მოძრაობა: ნეოკატეხუმენურიდან - 1, რწმენა და სინათლიდან - 1, კამილიელთა ოჯახიდან - 1;
- INER Georgia-დან - 1.

წინამძღვარმა ივლისის ბოლომდე უნდა გაუგზავნოს კომისიის წევრებს მონაწილეთა სია ტელეფონით ან შემდეგ ელფოსტაზე: Georgiasinod2020@gmail.com

2) ივნისის თვეში საკრებულოებს დაურიგდება სხვადასხვა ფერის ფურცლები, სადაც

წარმოდგენილი იქნება რამდენიმე მოსაზრება სიწმინდის თემაზე; გადაეცემათ, ასევე, პატარა ყუთი, რომელიც განთავსდება ეკლესიაში და მასში შეინახება ის ფურცლები, სადაც მორწმუნეები თავიანთ აზრს დააფიქსირებენ. მოძღვარმა უნდა ურჩიოს თითოეულ მორწმუნეს, ამოირჩიოს სასურველი თემა და გამოთქვას აზრი მის შესახებ, თემაზე შეიძლება იფიქრონ როგორც დამოუკიდებულად, ასევე, ოჯახთან ან მცირე ჯგუფთან ერთად; შემდეგ მოსაზრებებს გადაიტანენ იმავე ფურცელზე და ჩაყრიან ეკლესიაში მოთავსებულ სპეციალურ ყუთში ივლისის თვის ბოლომდე, საბოლოოდ კი გადაეგზავნება კურიას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ განსახილველ თემებს, რომლებიც სხვადასხვა ფერის ფურცლებზეა დაწერილი:

1. სიწმინდე და ყოველდღიური ცხოვრება (შრომა, სწავლა, დასვენება, საკრებულო, ოჯახი, მოხალისეობა, პასუხისმგებლობა, იდეალი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება...)

2. სიწმინდე და განსაცდელი (მარტოობა, უიმედობა, სიღარიბე, უმუშევრობა, ავადმყოფობა, მოწყენილობა, დეპრესია...)

3. სიწმინდე და ცხოვრება საქართველოში (ვიყოთ წმიდანები საქართველოში... სირთულეები და სიხარული, ქართული ანდაზები, კონკრეტული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, წმიდა ადგილები, წინადადებები და ოცნებები...)

4. სიწმინდე და სულიერი ზრდა (ლოცვა, მარხვა, ღვთის სიტყვის კითხვა, სულიერი მამა, ასკეტიზმი, თაყვანისცემა, წმიდა წირვაში მონაწილეობა, სულიერი ცხოვრება...)

5. სიწმინდე და მეზობლობა (მეზობელი, ქრისტიანული მოწმეობა, თანადგომა, კონფლიქტები, გულგრილობა, ჭირისა და ლხინის გაზიარება...)

3) კომისია აგვისტოს თვეში იმუშავებს თქვენგან მოწოდებულ მოსაზრებებზე,

შეიმუშავებს პროგრამას და სინოდალური შეხვედრის სამუშაო მეთოდს.

4) ზაფხულის პერიოდში კომისიის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საკრებულოს ან დეკანატის საზაფხულო აქტივობებში (ჩრესტ - ადგილობრივი ბანაკი, მომლოცველობა, შრომითი ბანაკები...), რათა რამდენიმე საათი დაუთმონ სიწმინდის თემაზე საუბარს, თუკი სამრევლოს წინამძღვარი მიიჩნევს საჭიროდ; აუცილებელია წინასწარ შეთანხმება.

5) სინოდალური შეხვედრის პერიოდში ჩატარდება მირონის კურთხევის წირვა სამღვდელო

აღთქმების განახლებით და წმიდა ზეთის კურთხევით.

წინასწარ გიხდით მადლობას ჩვენი ეკლესიის სასიკეთოდ გაწეული თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით
კომისიის წევრები
ახალციხე, 9. 06. 2020

ვინ არის შენთვის იესო?



ყვავილის ყოველ ფურცელზე დაწერე, ვინ არის შენთვის იესო
გააფერადე და გამოგზავნე ჩვენთან, რედაქციაში
საუკეთესო ყვავილს გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომრებში
დაე, დაგეხმარონ უფროსები
არ დაგავიწყდეს დაწერო, რა გქვია და საიდან ხარ

აკოლიტ ბექა ჩილინგარაშვილის დიაკვნად კურთხევა

27 ივნისს აკოლიტი ბექა ჩილინგარაშვილი დიაკვნად ეკურთხა.

ხელდასხმის ლიტურგია რაბათში, წმიდა ღვთისმშობლის სავარდის სახელობის ტაძრის ეზოში გაიმართა. წირვა ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა. ეპისკოპოსმა ქადაგებისას ყურადღება გაამახვილა სასულიერო პირის, როგორც მსახურის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ერთი მსახურების საიდუმლოს მიღება არ ნიშნავს ძალაუფლებისა და ხელმწიფების მიღებას და ამ დროს თავმდაბლობა მართებს სასულიერო პირს.

ლიტურგიისას, ბექა ჩილინგარაშვილი დიაკვნის სამოსით მამა მიხეილ სურმავამ შემოსა.

რაბათში წირვას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამრევლოს წარმომადგენლები და სასულიერო პირები; ასევე, ვატიკანის ელჩი საქართველოში, ჟოზე აველინო ბეტენკური.

ბექა ჩილინგარაშვილი სოფელ არლიდან არის. იგი 1994 წლის 26 ივლისს დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 2013 წელს, ქუთაისში პრესემინარიაში შევიდა. 2014 წლის სექტემბრიდან კი სწავლა დაიწყო ყაზახეთის სემინარიაში, რომელიც 2019 წელს დაასრულა და ამავე წლის დეკემბრიდან პრაქტიკას გადიოდა საქართველოში, არლის სამრევლოში.

ბექა ჩილინგარაშვილი უკვე მეორე დიაკვანია სოფელ არლიდან.

საგამედია

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

3 ივლისი — წმ. თომა მოციქული

11 ივლისი — წმ. ბენედიქტე, ევროპის მფარველი, ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

14 ივლისი — წმ. კამილო დე ლელისი, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი, კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული

21 ივლისი — კამილიელ მამა პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

22 ივლისი — წმ. მარიამ მაგდალელი

22 ივლისი — დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

23 ივლისი — წმ. ბრიგიდა, ევროპის მფარველი

24 ივლისი — კამილიელ მამა ივან (ნინო) მარტინის გახსენება (+2017)

25 ივლისი — წმ. იაკობ მოციქული

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

სიმონ ავეტისოვი
* 16. 06. 1959, ჭიათურა
† 17. 04. 2020, ჭიათურა

თამარა სანდროშვილი (ჩიტაშვილი)
* 21. 06. 1925, ახალციხე
† 18. 05. 2020, ასპინძა

სანდრო ათოშვილი
* 12. 09. 1944, ვალე
† 02. 06. 2020, ვალე

ლუბა გოზალოვი
* 12. 06. 1937, ახალციხე
† 11. 05. 2020, ვალე

რევაზ გიქოშვილი
* 05. 01. 1952, ვალე
† 31. 05. 2020, ვალე

ალექსანდრე თუმანიშვილი
* 09. 09. 1931, უდე
† 24. 05. 2020, ბენარა

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღაღანიძე, ციცინო ხითარიშვილი
ტექნიკური მხარდაჭერა: მღვდ. მიხეილ სურმავა, თამარ სტეფნაძე
მისამართი: ჟურნალ „საბას“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: sabamediage@gmail.com; www.sabamedia.ge; www.facebook.com/sabamediage/
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.